

177-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტურობის  
კვლევა

თამარ აფრასიძე

ნინო ფორჩხიძე

სალომე ხვედელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

*განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა ბიწაძე, განათლების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია თბილისის 177-ე საჯარო სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების შესწავლა. სკოლის ბაზაზე არსებული მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერება. სკოლაში ფუნქციონირებდეს სრულფასოვანი მოსწავლეთა თვითმმართველობები და აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის მეთოდის გამოყენებით გამოავლინოს ხარვეზები, შემუშავდეს მათი გაუმჯობესებისა და აღმოფხვრის გზები და გაიწეროს რეკომენდაციები თვითმმართველობის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის არაეფექტურობა და მისი გამომწვევი შესაძლო მიზეზები, როგორცაა: მოსწავლეთა არაინფორმირებულობა მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ; თვითმმართველობის წევრების და მოსწავლეთა ინტერესების სხვადასხვაობა; მასწავლებელთა ინდიფერენტული დამოკიდებულება და პასიურობა.

პრობლემის გამოსწორების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ტიპის ინტერვენციები: 1. საინფორმაციო შეხვედრა-ტრენინგი; 2. 177-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნები; 3. 177-ე საჯარო სკოლის ჩართვა „ბავშვთა და ახალგაზრობის ეროვნული ცენტრის“, სამოქალაქო განათლების, ინტეგრაციისა და ჩართულობის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერება და მხარდაჭერა“.

ინტერვენციის შედეგად 177-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებში გაუმჯობესდა ინფორმირებულობის დონე მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება-მოვალეობების შესახებ. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის

მიზნით შემუშავებული მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ინსტრუქციის მიხედვით ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები.

177-ე საჯარო სკოლა ჩაერთო სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრობის ეროვნული ცენტრის“, სამოქალაქო განათლების, ინტეგრაციისა და ჩართულობის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერება და მხარდაჭერა“.

ინტერვენციის შემდგომმა მოსწავლეების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევამ საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის ცალ-ცალკე შედეგი ვერ გამოიღო და ვერ გააუმჯობესა 177-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმირებულობის დონე მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ საგრძნობლად გაიზარდა. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები უფრო მოტივირებულნი და ჩართულნი არიან „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერება და მხარდაჭერის“ პროგრამაში.

საძიებო სიტყვები: მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი, სკოლა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამოქალაქო განათლება